2024 წლის იანვარ - სექტემბრის საგარეო სავაჭრო ბრუნვა

2024 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 16 777.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 3.7%-ით გაიზარდა.

- ექსპორტი გაიზარდა 4.1%-ით და 4 786.7 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა.
- იმპორტი გაიზარდა 3.6%-ით და 11 991.0 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა .
- უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა, 7 204.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, საგარეო სავაჭრო ბრუნვის 42.9% დაიკავა (2023/9-41.6%).
- ექსპორტის წილი ბრუნვაში 0.1%-ით გაიზარდა და 28.5%-ით განისაზღვრა (2023/9-28.4%).

საქართველოს ექსპორტ-იმპორტი თვეების მიხედვით 2023/9-2024/9 წლებში





საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ჩამოყალიბებულ ზოგად ტენდენციებს ასახავს გრაფიკული გამოსახულება, 2016-2024/9 წლების მიხედვით.



საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები ბრუნვის მიხედვით

2024 წლის იანვარ-სექტემბერში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 69% შეადგინა. ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან: თურქეთი (2 333.8 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (1 835.8 მლნ. აშშ დოლარი) და აშშ (1 472.6 მლნ. აშშ დოლარი)



ექსპორტის სტრუქტურა

ადგილობრივი ექსპორტი

2024 წლის იანვარ - სექტემბერში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 4.9%-ით შემცირდა და 2 040.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და მთლიანი ექსპორტის 42.6% შეადგინა (2023/9- 46.7%). **ადგილობრივი ექსპორტის შემცირება გამოიწვია სამრეწველო პროდუქციის ექსპორტის არსებითმა შემცირებამ, თუმცა, ამავე პერიოდში ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა.**

კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი გაიზარდა 13.5%-ით და 867 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 43% დაიკავა, ხოლო სამრეწველო პროდუქციის ექსპორტი შემცირდა 15%-ით და 1 173.3 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა

ადგილობრივი ექსპორტის შემცირება ძირითადად განხორციელდა შემდეგი პროდუქციის ხარჯზე:

- სპილენძის მადნები - ექსპორტი 55 მლნ აშშ დოლარი, კლება 87%.
- აზოტოვანი სასუქები -ექსპორტი 81.9 მლნ აშშ დოლარი, კლება 33%
- ელექტროენერგია - ექსპორტი 49 მლნ აშშ დოლარი, კლება 49%

ადგილობრივი ექსპორტის ზრდა დაფიქსირდა შემდეგ პოზიციებზე:

- ძვირფასი ლითონის მადნები - ექსპორტი 169.8 მლნ აშშ დოლარი, ზრდა 237%
- ყურძნის ნატ. ღვინოები - ექსპორტი 213.7 მლნ აშშ დოლარი, ზრდა 11%
- მინერალური წყალი - ექსპორტი 127.5 მლნ აშშ დოლარი, ზრდა 25%
- სპირტიანი სასმელები -ექსპორტი 85.1 მლნ აშშ დოლარი, ზრდა 20%
- ფეროშენადნობები - ექსპორტი 226.8 მლნ აშშ დოლარი, ზრდა 62%
- დაუმუშავებელი ოქრო -ექსპორტი 76.2 აშშ დოლარი, ზრდა 20%
- მაისურები და კვართები -ექსპორტი 60.8 მლნ აშშ დოლარი, ზრდა 13%

რე - ექსპორტი

რე-ექსპორტი 11.9%-ით გაიზარდა 2 746.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და მთლიანი ექსპორტის 57.4% დაიკავა (2023/9-53.3%).

რე-ექსპორტი გაიზარდა შემდეგ პოზიციებზე:

- ეთილის სპირტი, სპირტიანი სასმელები - 125.5 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 108%)
- მსუბუქი ავტომობილები - 1 762.6 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 13%)
- სამრეწველო თამბაქო და შემცვლელები - 38.5 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 64%)
- სატვირთო ავტომობილები - 45.1 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 26%)

რე-ექსპორტი შემცირდა შემდეგ პოზიციებზე:

- ტრაქტორები და უნაგირა საწევარები - 11.5 მლნ აშშ დოლარი (კლება 44 %)
- სამედიცინო ხელსაწყოები - 28.4მლნ. აშშ დოლარი (კლება 15%)
- სიგარები - 49.6 მლნ. აშშ დოლარი (კლება 30%)
- გამომთვლელი მანქანები - 6 მლნ. აშშ დოლარი (კლება 76%)

საქართველოს ექსპორტი (რე-ექსპორტის ჩათვლით)

2024 წლის იანვარ-სექტემბერში ათი უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 82.1 შეადგინა. უმსხვილესი საექსპორტო სამეული შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: ყირგიზეთი (908 მლნ. აშშ დოლარი), ყაზახეთი (634.9 მლნ. აშშ დოლარი) და აზერბაიჯანი (544.3 მლნ. აშშ დოლარი).



2024 წლის იანვარ-სექტემბერში სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი მსუბუქმა ავტომობილებმა დაიკავა 1 762.6 მლნ აშშ დოლარით (36.8%), მეორე - ფეროშენადნობებმა 227.1 მლნ. აშშ დოლარით (4.7%), ხოლო მესამე - ყურძნის ნატურალურმა ღვინოებმა 214.5 მლნ. აშშ დოლარით (4.5%).



სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი 18%-ით გაიზარდა და 1 229.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო **სამრეწველო** პოზიციების ექსპორტი შემცირდა 0.1%-ით და 3 557.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი ძირითადად გაიზარდა შემდეგი პოზიციების ხარჯზე

- **ღვინო** - ექსპორტი 214.5 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 11%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 68% (ზრდა 14%), პოლონეთი 5% (ზრდა 10%), უკრაინა 4% (კლება 14%), ყაზახეთი 4% (ზრდა 19%), ჩინეთი 3% (კლება 22%), აშშ 3% (ზრდა 57%).
- **სპირტიანი სასმელები** - ექსპორტი 210.6 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 61%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 52% (ზრდა 169%), სომხეთი 18% (ზრდა 2-ჯერ), უკრაინა 8% (კლება 4%), ბელარუსი 4% (კლება 27%), საფრანგეთი 4% (კლება 37%), აზერბაიჯანი 3% (ზრდა 14%).
- **მინერალური წყალი** - ექსპორტი 127.5 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 25%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 48% (ზრდა 26%), ყაზახეთი 18% (ზრდა 19%), უკრაინა 11% (ზრდა 56%), უზბეკეთი 5% (ზრდა 11%), ლიეტუვა 5% (ზრდა 2%).
- **უალკოჰოლო სასმელები** - ექსპორტი 107.7 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 27%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 46% (ზრდა 3%), აზერბაიჯანი 15% (ზრდა 65%), ყაზახეთი 12% (ზრდა 40%), სომხეთი 9% (ზრდა 10%), უზბეკეთი 7% (ზრდა 9-ჯერ), უკრაინა 3% (ზრდა 166%).
- **ხილ-ბოსტნეულის წვენები** - ექსპორტი 14.7 მლნ აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 30%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: აშშ 26% (ზრდა 70%), ისრაელი 23% (ზრდა 3.5-ჯერ), ავსტრალია 10% (ზრდა 68%), იაპონია 8% (ზრდა 169%), გერმანია 7% (ზრდა 10%), რუსეთი 5% (კლება 77%)
- **სანელებლები** - ექსპორტი 31.3 მლნ აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 188%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ჩინეთი 82% (ზრდა 5-ჯერ), რუსეთი 12% (კლება 23%), თურქეთი 2% (2023/9-0), უკრაინა 2% (კლება 33%).
- **მოცვი და სხვა ხილი** - ექსპორტი 31.3 მლნ აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 30%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 84% (ზრდა 23%), გერმანია 6% (ზრდა 25-ჯერ), სომხეთი 5% (კლება 3%), საამიროები 2% (ზრდა 67%).
- **თევზის ცხიმი** - ექსპორტი 19.1 მლნ აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 25%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: პერუ 68% (ზრდა 157%), თურქეთი 16% (კლება 57%), კოლუმბია 15% (ზრდა 50%).
- **თხილი** - ექსპორტი 56.1 მლნ აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 7%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ესპანეთი 17% (ზრდა 140%), იტალია 10% (კლება 47%), გერმანია 7% (კლება 45%), რუსეთი 7% (ზრდა 32%), საფრანგეთი 6% (ზრდა 13%).

ამასთან, სასოფლო სამეურნეო პროდუქციაში ექსპორტი შემცირდა შემდეგ პოზიციებზე:

- **ცოცხალი ცხვარი** - ექსპორტი 27.9 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 14%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: საუდის არაბეთი 54% (ზრდა 70%), აზერბაიჯანი 40% (კლება 20%), ლიბანი 3% (ზრდა 5-ჯერ).
- **სიგარეტები** - ექსპორტი 51.4 მლნ აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 30%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ყირგიზეთი 84% (კლება 12%), ყაზახეთი 8% (კლება 74%), ინდოეთი 6% (ზრდა 147%).

სამრეწველო პროდუქციის ექსპორტი შემცირდა ძირითადად შემდეგი პოზიციების ხარჯზე:

- **სპილენძის მადნები და კონცენტრატები** - ექსპორტი 55 მლნ აშშ დოლარი (კლება 87%) საექსპორტო ბაზრები: ბულგარეთი 57% (კლება 85%), ჩინეთი 43% (კლება 86%).

- **აზოტოვანი სასუქები** - ექსპორტი 82.3 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 33%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: პერუ 21% (კლება 63%), ინდოეთი 21% (ზრდა 148%), რუმინეთი 19% (კლება 21%).
- **მიკროავტობუსები** - ექსპორტი 3.9 მლნ აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 81%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: სომხეთი 50% (კლება 90%), აზერბაიჯანი 33% (ზრდა 88%), ყაზახეთი 6% (ზრდა 4-ჯერ).

ზრდა დაფიქსირდა შემდეგ სამრეწველო პოზიციებზე

- **მსუბუქი ავტომობილები** - ექსპორტი 1 762.6 მლნ აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 13%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ყირგიზეთი 48% (ზრდა 96%), ყაზახეთი 31% (ზრდა 33%), აზერბაიჯანი 13% (კლება 32%), სომხეთი 5% (კლება 65%).
- **ფეროშენადნობი** - ექსპორტი 227 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 62%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: თურქეთი 41% (ზრდა 2.5-ჯერ), აშშ 26% (ზრდა 14%), ეგვიპტე 8% (ზრდა 29-ჯერ), იტალია 4% (ზრდა 105-ჯერ), უკრაინა 3% (2024/9-0).
- **დაუმუშავებელი ოქრო** - ექსპორტი 76.2 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 20%). საექსპორტო ბაზრები: შვეიცარია 92% (ზრდა 25%), თურქეთი 7% (ზრდა 8%), ემირატები 1% (კლება 62%).
- **ძვირფასი ლითონის მადნები** - 169.8 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 2.4-ჯერ). ძირითადი ბაზრები: ჩინეთი 85% (ზრდა 2.2-ჯერ), ბულგარეთი 15% (2023/9-0).
- **მედიკამენტები** - ექსპორტი 83.6 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 2%). საექსპორტო ბაზრები: უზბეკეთი 51% (ზრდა 0.5%), აზერბაიჯანი 22% (ზრდა 4%), სომხეთი 10% (კლება 1%).
- **სატვირთო ავტომობილები** - ექსპორტი 45.1 მლნ აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 26%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: აზერბაიჯანი 56% (ზრდა 39%), სომხეთი 28% (ზრდა 17%), ყირგიზეთი 7% (ზრდა 2-ჯერ), ყაზახეთი 4% (ზრდა 122%).

საქართველოს იმპორტი

2024 წლის იანვარ-სექტემბერში ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 69.5% შეადგინა. პირველ სამეულში შედის: თურქეთი (1 986.7 მლნ. აშშ დოლარი), აშშ (1 376.9 მლნ. აშშ დოლარი) და რუსეთი (1 313.0 მლნ. აშშ დოლარი).



უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2024 წლის იანვარ-სექტემბერში წარმოდგენილი იყო მსუბუქი ავტომობილების სახით, რომლის იმპორტმა 2 340.9 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 19.5% შეადგინა. მეორე ადგილზეა ნავთობპროდუქტები 982.4 მლნ. აშშ დოლარით (8.2%), ხოლო მესამე ადგილზეა სამკურნალო საშუალებები 462.8 მლნ. აშშ დოლარით (3.9%).



სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი 8% გაიზარდა და 1 568.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო **სამრეწველო პროდუქციის იმპორტი** 3% გაიზარდა და 10 422.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

იმპორტი საქართველოში გაიზარდა შემდეგ ძირითად სასაქონლო პოზიციებზე:

- **მცენარეული (მზეს.) ზეთი -** 32.8 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 7%). იმპორტიორი ქვეყნებია: რუსეთი 84% (ზრდა 7%), უკრაინა 12% (კლება 6%), აზერბაიჯანი 3% (ზრდა 126%).
- **ხორბალი** - 52.2 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 36%). იმპორტი სრულად განხორციელდა რუსეთიდან.
- **მეტალოკონსტრუქციები** - 102.3 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 5%). იმპორტიორი ქვეყნებია: თურქეთი 54% (ზრდა 21%), ჩინეთი 13% (ზრდა 61%), ავსტრია 11% (ზრდა 57%) ინდოეთი 4% (კლება 80%).
- **სამკურნალო საშუალებები -** 462.8 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 18%) იმპორტიორი ქვეყნებია: თურქეთი 28% (ზრდა 23%), გერმანია 11% (ზრდა 33%), შვეიცარია 8% (კლება 14%), უნგრეთი 8% (ზრდა 30%), საფრანგეთი 6% (ზრდა 13%).
- **ნავთობი და ნავთობპროდუქტები** - 982.4 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 20%). იმპორტიორი ქვეყნებია: რუსეთი 41% (კლება 16%), ბულგარეთი 12% (ზრდა 4-ჯერ) რუმინეთი 11% (კლება 8%), აზერბაიჯანი 8% (ზრდა 47%), თურქეთი 5% (ზრდა 142%), საბერძნეთი 5% (ზრდა 2-ჯერ).
- **ფრინველის ხორცი** - იმპორტი 71.7 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 5%). იმპორტიორი ქვეყნები: ჩინეთი 28% (ზრდა 41%), ბრაზილია 13% (კლება 36%), უკრაინა 13% (ზრდა 83%), თურქეთი 10% (კლება 40%), გერმანია 7% (ზრდა 7%), საფრანგეთი 7% (ზრდა 75%).
- **ნაღების კარაქი** - 28.8 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 4%). იმპორტიორი ქვეყნებია: საფრანგეთი 32% (უმნიშვნელო ცვლილება), ურუგვაი 12% (ზრდა 40%), ირანი 12% (ზრდა 39%), ფინეთი 11% (ზრდა 40%), პარაგვაი 7% (კლება 16%), არგენტინა 7% (ზრდა 6-ჯერ), დანია 3% (ზრდა 1%).

საქართველოში იმპორტის კლება დაფიქსირდა შემდეგ ძირითად სასაქონლო პოზიციებზე:

- **ღორის ხორცი გაყინული -** იმპორტი 38.4 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 18%). იმპორტიორი ქვეყნები: ბრაზილია 89% (კლება 13%), არგენტინა 5% (გაიზარდა 3-ჯერ), პარაგვაი 1% (კლება 43%), რუსეთი 1% (ზრდა 19-ჯერ).
- **სატელეფონო აპარატები** - 229.8 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 15%). იმპორტიორი ქვეყნებია: არაბთა გაერთიანებული საამიროები 45% (კლება 21%), ჩეხეთი 19% (კლება 22%), ჩინეთი 8% (ზრდა 117%).
- **ხორბლის ფქვილი** - 13.8 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 56%). რუსეთი 92% (კლება 58%), თურქეთი 6% (ზრდა 28%), იტალია 2% (ზრდა 75%).
- **მსუბუქი ავტომობილები -** 2 340.9 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 8%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნებია: აშშ 53% (კლება 16%), გერმანია 18% (ზრდა 65%), იაპონია 16% (კლება 17%).
- **ნავთობის აირები** - 275.2 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 14%). იმპორტიორი ქვეყნებია: აზერბაიჯანი 58% (კლება 28%), რუსეთი 42% (ზრდა 16%).
- **სპილენძის მადნები და კონცენტრატები** - 40.8 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 81%). სომხეთი 96% (კლება 74%), აზერბაიჯანი 4% (კლება 62%), იმპორტი არ განხორციელებულა ქვეყნებიდან ბულგარეთი, ჩილე, ინდონეზია, სერბეთი, თურქეთი, მაროკო (2023/9 - იმპორტი ჯამურად 219.2 მლნ აშშ დოლარი).

- **შაქარი** - იმპორტი 66.1 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 14%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნებია: ბრაზილია 29% (კლება 44%), საფრანგეთი 19% (ზრდა 107%), ნიდერლანდები 13% (ზრდა 5-ჯერ), ბელგია 11% (2023/9-0), თურქეთი 9% (წინა წელს განხორციელდა მცირე რაოდენობით), ემირატები 5% (კლება 61%).

რეგიონალური ვაჭრობა

საქართველო - ევროკავშირის საგარეო სავაჭრო ბრუნვა

ევროკავშირთან ბრუნვა 8%-ით გაიზარდა, 3 577.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს მთლიანი ბრუნვის 21.3% დაიკავა **(2023/9 -20.5%)**. **ექსპორტი** შემცირდა 31%-ით, 390.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს მთლიანი ექსპორტის 8.2% შეადგინა (**2023/9-12.3%). იმპორტი** 16%-ით გაიზარდა და 3 186.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, საქართველოს მთლიანი იმპორტის 27% დაიკავა **(2023/9-24%).**
ევროკავშირში ადგილობრივი ექსპორტი 35%-ით შემცირდა, 294.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და ევროკავშირში **საქართველოს** მთლიანი ექსპორტის 75% დაიკავა და საქართველოს მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 14% **(2023/9 – 21%).** ადგილობრივი ექსპორტის კლება ევროკავშირის ბაზარზე გამოიწვია სპილენძის მადნების 88% - ით კლებამ.
რე-ექსპორტი შემცირდა 12%-ით 95.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და ევროკავშირში საქართველოს მთლიანი ექსპორტის 25% დაიკავა და საქართველოს მთლიანი რე-ექსპორტის 3% **(2023/9-4%).**

ექსპორტი

სასოფლო-სამეურნეო ექსპორტი გაიზარდა 1%-ით და 114.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო **სამრეწველო პროდუქცია** შემცირდა 39%-ით და 276.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ექსპორტი გაიზარდა შემდეგ პოზიციებზე:

- **ღვინო** - ექსპორტი 23.8 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 11%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: პოლონეთი 47% (ზრდა 10%), გერმანია 19% (ზრდა 29%), ლატვია 13% (ზრდა 6%), ლიეტუვა 7% (ზრდა 6%).
- **ფეროშენადნობი** - 24.1 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 8-ჯერ). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: იტალია 39% (წინა წელს გავიდა უმნიშვნელო რაოდენობით), ესპანეთი 20% (წინა წელს გავიდა უმნიშვნელო რაოდენობით), საფრანგეთი 15% (ზრდა 137%), ნიდერლანდები 13% (წინა წელს გავიდა უმნიშვნელო რაოდენობით).
- **მინერალური წყალი** - ექსპორტი 10.1 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 17%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: ლიეტუვა 58% (ზრდა 2%), გერმანია 22% (ზრდა 39%), ლატვია 12% (ზრდა 104%).
- **თხილი** - ექსპორტი 32.9 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 9%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: ესპანეთი 29% (ზრდა 140%), იტალია 16% (კლება 47%), გერმანია 11% (კლება 45%), საფრანგეთი 10% (ზრდა 13%) .

ექსპორტი შემცირდა შემდეგ პოზიციებზე:

- **სპირტიანი სასმელები** - ექსპორტი 15.6 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 38%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: საფრანგეთი 56% (კლება 37%), ნიდერლანდები 19% (ზრდა 33%), ლატვია 9% (ზრდა 30%), ლიეტუვა 6% (ზრდა 1%).
- **ხილ-ბოსტნეულის კონსერვები** - ექსპორტი 5.5 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 3%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: გერმანია 384 (კლება 38%), საფრანგეთი 12% (ზრდა 99%), პოლონეთი 9% (ზრდა 8-ჯერ), ესპანეთი 9% (ზრდა 59%), ჩეხეთი 8% (კლება 11%).

- **სპილენძის მადნები და კონცენტრატები** - ექსპორტი 31.1 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 88%). მთლიანი ექსპორტი განხორციელდა ბულგარეთში (კლება 85%).
- **აზოტოვანი სასუქები** - ექსპორტი 25.3 მლნ. აშშ დოლარი (კლება 21%). საექსპორტო ბაზრები: რუმინეთი 62% (კლება 21%), ესპანეთი 25% (ზრდა 44%), ბულგარეთი 7% (ზრდა 4%), იტალია 6% (ზრდა 33%), ჩეხეთი - წინა წელს არ განხორციელებულა ექსპორტი, წელს - უმნიშვნელო რაოდენობით.

იმპორტი

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი 25%-ით გაიზარდა და 458.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო **სამრეწველო პროდუქციის** იმპორტი გაიზარდა 14%-ით და 2 728.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ევროკავშირიდან იმპორტი გაიზარდა შემდეგ პოზიციებზე:

- **მსუბუქი ავტომობილები** - იმპორტი 534.1 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 49%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 78% (ზრდა 65%), ბელგია 5% (ზრდა 28%), იტალია 4% (ზრდა 3-ჯერ), ჩეხეთი 3% (ზრდა 13%).
- **მეტალოკონსტრუქციები შავი ლითონებისგან** - იმპორტი 18.1 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 34%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: ავსტრია 62% (ზრდა 57%), გერმანია 11% (ზრდა 17%), ესპანეთი 8% (ზრდა 10%), პოლონეთი 7% (ზრდა 2.7-ჯერ).
- **სატვირთო ავტომობილები** - იმპორტი 78 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 5%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 41% (ზრდა 6%), ნიდერლანდები 15% (ზრდა 29%), საფრანგეთი 12% (ზრდა 54%), პოლონეთი 9% (კლება 25%), ბელგია 7% (ზრდა 11%), ლიტვა 4% (ზრდა 4-ჯერ).
- **სამკურნალო საშუალებები** - იმპორტი 220.6 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 25%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 24% (ზრდა 33%), უნგრეთი 17% (ზრდა 30%), საფრანგეთი 12% (ზრდა 13%).
- **ლაბორატორიული რეაგენტები** - იმპორტი 10.9 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 15%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 48% (ზრდა 30%), იტალია 16% (კლება 11%), საფრანგეთი 13% (ზრდა 1%).
- **ნავთობი და ნავთობპროდუქტები** - იმპორტი 308.9 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 63%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: ბულგარეთი 39% (ზრდა 4-ჯერ), რუმინეთი 35% (კლება 8%), საბერძნეთი 14% (ზრდა 2-ჯერ)
- **შაქარი** - იმპორტი 34.7 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 3.6-ჯერ) ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: საფრანგეთი 36% (ზრდა 107%), ნიდერლანდები 25% (ზრდა 5-ჯერ), ბელგია 21% (2023/9-0), პოლონეთი 9% (წინა წელს შემოვიდა მცირე ოდენობით), გერმანია 7% (წინა წელს შემოვიდა მცირე ოდენობით).
- **საკვები ინგრედიენტები** - იმპორტი 30.4 მლნ აშშ დოლარი, (ზრდა 14%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 23% (ზრდა 14%), პოლონეთი 16% (კლება 11%), იტალია 11% (ზრდა 11%), ბულგარეთი 10% (ზრდა 2-ჯერ).

ევროკავშირიდან იმპორტი შემცირდა შემდეგ პროდუქციაზე:

- **სატელეფონო აპარატები** - იმპორტი 61.8 მლნ აშშ დოლარი (კლება 25%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: ჩეხეთი 72% (კლება 22%), ნიდერლანდები 17% (ზრდა 21%).
- **ხელსაწყოები მედიცინაში გამოსაყენებელი** - იმპორტი 36.3 მლნ აშშ დოლარი (კლება 3%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 29% (ზრდა 6%), ბელგია 25% (კლება 20%), ნიდერლანდები 21% (კლება 9%).
- **კარაქი** - იმპორტი 15.8 მილიონი აშშ დოლარი (კლება 4%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: საფრანგეთი 59% (უმნიშვნელო ცვლილება), ფინეთი 21% (ზრდა 40%), დანია 6% (ზრდა 1%), ბელგია 4% (კლება 17%).

- **ნარევები გამოსაყენებელი სასმელების წარმოებაში** - იმპორტი 37.7 მლნ აშშ დოლარი (კლება 6%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: საფრანგეთი 76% (კლება 6%), ირლანდია 15% (კლება 9%), გერმანია 7% (კლება 20%), ავსტრია 1% (ზრდა 91%).

საქართველო - დსთ-ს საგარეო სავაჭრო ბრუნვა

დსთ-ს ქვეყნებთან **სავაჭრო ბრუნვა 4%-ით გაიზარდა,** შეადგინა - 5 680.6 მლნ. აშშ დოლარი და დაიკავა საქართველოს მთლიანი ბრუნვის 33.9 % **(2023/9 – 33.8%). ექსპორტი გაიზარდა** 11.8%-ით, 3 320.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს მთლიანი ექსპორტის 69.4% დაიკავა (**2023/9-64.6%). იმპორტი** 6%-ით შემცირდა, 2 359.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, საქართველოს მთლიანი იმპორტის 20% დაიკავა (**2023/9–22%).**
დსთ-ში ადგილობრივი ექსპორტი 4%-ით გაიზარდა 818.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და დსთ-ში საქართველოს მთლიანი ექსპორტის 25% დაიკავა და საქართველოს მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 40.1% **(2023/9 – 36.5%).**
რე-ექსპორტი 14.5%-ით გაიზარდა 2 502.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და დსთ-ში საქართველოს მთლიანი ექსპორტის 75% დაიკავა და საქართველოს მთლიანი რე-ექსპორტის 91% **(2023/9-89%).**

ექსპორტი

სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი 20%-ით გაიზარდა და 921.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, **სამრეწველო პროდუქციის** ექსპორტი 9%-ით გაიზარდა და 2 399.4 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა.

ექსპორტი გაიზარდა შემდეგ პოზიციებზე:

- **მსუბუქი ავტომობილები** - ექსპორტი 1 734.6 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 14%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ყირგიზეთი 48% (ზრდა 96%), ყაზახეთი 32% (ზრდა 33%), აზერბაიჯანი 13% (კლება 32%), სომხეთი 5% (კლება 65%).
- **სპირტიანი სასმელები** - ექსპორტი 184.7 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 96%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 60% (ზრდა 169%), სომხეთი 21% (ზრდა 196%), უკრაინა 9% (კლება 4%), ბელარუსი 5% (კლება 27%).
- **მინერალური წყალი** - ექსპორტი 113.2 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 26%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 45% (ზრდა 26%), ყაზახეთი 21% (ზრდა 19%), უკრაინა 13% (ზრდა 56%), უზბეკეთი 5% (ზრდა 11%).
- **ღვინო** - ექსპორტი 171 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 11%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 86% (ზრდა 14%), უკრაინა 5% (კლება 14%), ყაზახეთი 5% (ზრდა 19%), ბელარუსი 3% (კლება 12%), აზერბაიჯანი 0.4% (ზრდა 26%).
- **უალკოჰოლო სასმელები** - ექსპორტი 101.7 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 29%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 48% (ზრდა 3%), აზერბაიჯანი 16% (ზრდა 65%), ყაზახეთი 12% (ზრდა 40%), სომხეთი 9% (ზრდა 10%).
- **ციტრუსი** - ექსპორტი 12.4 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 83%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 58% (ზრდა 2-ჯერ), სომხეთი 39% (ზრდა 9%), აზერბაიჯანი 3% (ზრდა 3-ჯერ).
- **სამკურნალო საშუალებები** - ექსპორტი 81.8 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 4%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: უზბეკეთი 52% (მცირე ცვლილება), აზერბაიჯანი 23% (ზრდა 4%), სომხეთი 10% (კლება 1%), ყირგიზეთი 4% (ზრდა 69%), ტაჯიკეთი 3% (კლება 10%).

ექსპორტი შემცირდა შემდეგ სასაქონლო პოზიციებზე:

- **სიგარეტები** - ექსპორტი 47.5 მლნ. აშშ დოლარი (კლება 31%). საექსპორტო ბაზრები: ყირგიზეთი 90% (კლება 12%), ყაზახეთი 9% (კლება 74%).

- **ფეროშენადნობი** - ექსპორტი 19 მლნ. აშშ დოლარი (კლება 63%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: უკრაინა 40% (2023/9-0), აზერბაიჯანი 29% (ზრდა 3%), რუსეთი 29% (კლება 88%), სომხეთი 1% (ზრდა 8%).
- **თხილი-** ექსპორტი 9.7 მლნ აშშ დოლარი (კლება 10%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 38% (ზრდა 32%), სომხეთი 32% (ზრდა 11%), უკრაინა 16%(კლება 6%). ექსპორტი შეწყდა ყაზახეთსა და ყირგიზეთში.

იმპორტი

დსთ-ს ქვეყნებიდან **სასოფლო-სამეურნეო** პროდუქციის იმპორტი 11%-ით გაიზარდა და 583.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. **სამრეწველო პროდუქციის** იმპორტი 10%-ით შემცირდა და 1 776.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

იმპორტი გაიზარდა შემდეგ პოზიციებზე:

- **მცენარეული ზეთი -** იმპორტი 32.6 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 7%). იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი 85% (ზრდა 7%), უკრაინა 12% (კლება 6%), აზერბაიჯანი 3% (ზრდა 126%).
- **ხორბალი** - იმპორტი 52.2 (ზრდა 36%). სრული იმპორტი განხორციელდა რუსეთიდან.
- **არმატურა -** იმპორტი 77.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 21%). იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი 86% (ზრდა 83%), აზერბაიჯანი 12% (კლება 66%), უკრაინა 2% (წინა წელს არ განხორციელებულა ექსპორტი).

იმპორტი შემცირდა შემდეგ პოზიციებზე:

- **ხორბლის ფქვილი** - იმპორტი 12.6 მლნ. აშშ დოლარი (კლება 58%). სრული იმპორტი განხორციელდა რუსეთიდან.
- **მსუბუქი ავტომობილები -** იმპორტი 19 მლნ. აშშ დოლარი (კლება 69%). იმპორტიორი ქვეყნები: აზერბაიჯანი 53% (კლება 46%), სომხეთი 12% (კლება 41%).
- **ნავთობის აირები** - 257.1 მლნ. აშშ დოლარი (კლება 14%). იმპორტიორი ქვეყნებია: აზერბაიჯანი 58% (კლება 28%), ბელარუსი - შეწყდა იმპორტი.
- **სპილენძის მადნები და კონცენტრატები -** იმპორტი 40.8 მლნ. აშშ დოლარი (კლება 74%). იმპორტიორი ქვეყანა: სომხეთი 96% (კლება 74%) და აზერბაიჯანი 4% (კლება 62%).